

## **ტესტის სახელწოდება:**

ალბუმინის ტესტი

## **ტესტის ალტერნატიული დასახელება:**

ალტერნატიული დასახელება არ გააჩნია.

## **რას იკვლევს მოცემული ტესტი:**

მოცემული ტესტი სისხლში ალბუმინის დონეს ადგენს. ალბუმინი ცილაა, რომელიც წარმოიქმნება ღვიძლში. იგი ცილის საერთო რაოდენობის დაახლოებით 60%-ს შეადგენს და ორგანიზმში მრავალ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს: ახდენს სხვადასხვა ჰორმონის, მედიკამენტის და ვიტამინების ტრანსპორტირებას, აგრეთვე არეგულირებს პლაზმის კოლოიდურ-ოსმოსურ წნევას.

სისხლში ალბუმინის რაოდენობის კლება შეიძლება გამოიწვიოს კვების ან საკვები ნივთიერებების შეწოვის დარღვევამ (მალნუტრიციამ ან მალაბსორბციამ), ღვიძლის ან თირკმელების დაავადებამ.

## **რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება:**

ალბუმინის ანალიზი ძალიან ხშირად ინიშნება. ალბუმინის რაოდენობის კლება მრავალმა სხვადასხვა დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს და ამიტომ ეს ტესტი ხშირად გამოიყენება პაციენტის ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის შესაფასებლად და ზოგიერთი დაავადების აღმოსაჩენად. ალბუმინის ტესტის შედეგები ხშირად ეხმარება ექიმს ღვიძლისა და თირკმლის დაავადებების დიაგნოსტიკისას.

## **როგორ კეთდება ეს ტესტი:**

საჭიროა ვენიდან სისხლის აღება.

## **როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის:**

ტესტი განსაკუთრებულ მომზადებას არ საჭიროებს, მაგრამ ზოგიერთმა მედიკამენტმა შეიძლება გავლენა იქონიოს ანალიზის შედეგებზე და ამიტომ ექიმთან კონსულტაცია აუცილებელია.

## **შედეგების ინტერპრეტაცია:**

ალბუმინი წარმოიქმნება ღვიძლში და ორგანიზმიდან გამოიყოფა თირკმელების გზით, ამიტომ როდესაც ღვიძლი მას საკმარისი რაოდენობით ვერ წარმოქმნის ან როდესაც თირკმელები მას დიდი რაოდენობით გამოყოფენ, სისხლში ალბუმინის დონე ქვეითდება. შესაბამისად, ალბუმინის დაბალი დონე ღვიძლის ან თირკმლის დაავადებაზე შეიძლება მიუთითებდეს.

თუმცა ალბუმინის დაქვეითებული რაოდენობა ყოველთვის ღვიძლის ან თირკმელების დარღვევის ნიშანი არ არის. არსებობს მთელი რიგი სხვა მდგომარეობები, რომლებიც იწვევენ ალბუმინის კლებას სისხლში.

ალბუმინის ანალიზთან ერთად ხშირად სხვა ტესტებიც ინიშნება, რათა დაზუსტდეს მისი დაქვეითების გამომწვევი მიზეზები.